ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1337570

ნომერი: AR1228497

თარიღი : 13.06.2014

გაცემის თარიღი : 23.06.2014

გაცნობის თარიღი : 09.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 67 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ჯაჯანაშვილი პ/ნ 01017022563
- თბილისი ალ.გრიბოედოვის ქ. N 27

ორგანიზაცია:

- შპს სითი ინვესტი კოდი: 205214098

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- კოეფიციენტის განსაზღვრა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1228497 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.05.003.046) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2-ის (სსზ-2) სტატუსი (იხ. დანართი), რომელშიც მოქმედებს შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1=0,7.
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2=4,6.
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი კ-3=0,1.

ამასთან, რადგან მიწის ნაკვეთი მისამართით აღმაშენებლის გამზ, N67, (საკადასტრო კოდი: №01.16.05.003.046) მდებარეობს სახელმწიფო დაცვისა და ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მიმზადების დროს საკითხი უნდა იქნეს განხილული „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საკითხის განხილვა საჭიროებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებას და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი _ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური იხელმძღვანელებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.